[illegible]

№ 368 1918 წ. კვირა ოქტომბრის 27.

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

გერმანიის კანცლერის სიტყვა რეიხსტაგში: „ჩვენ უკანასკნელ შესაძლებლობამდე ვიბრძოლებთო.— მოკავშირეების პრესა ზავის წინააღმდეგია და გერმანიის განადგურებას მოითხოვს.— „ამხატავორის“ ცნობით ოსმალეთს ინგლისთან ზავი შეუკრავს.

პარლამენტის წევრი ალექსანდრე და პორუჩიკი ვლადიმერ იოსების ძენი, მეუღლენი მათი: ელისაბედ ნიკოლოზის ასული და ნინო კონსტანტინეს ასული წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მარად დაუვიწყარის დის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ანჩისხატის ტაძარში კვირას, ოქტომბრის 27 ს წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდი დღის 12 საათზე. 2185

სოფრომ მარკოზის ძე და მანიჟან ნიკოლოზის ასული ვარაზაშვილები შვილებითა და რძლებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი რძლის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ანჩისხატის საკრებულო ტაძარში, კვირას, ოქტომბრის 27-ს. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 2185

ოქტომბრის 25-ს გარდაიცვალა

ღენერალ-მაიორი ალექსანდრე (საშა) იოსების ძე კოზიაშვილი,

რასაც ნათესავთ და ნაცნობთ აუწყებს ქვრივი ბარბარე თეოფანეს ასული შვილებით—დიმიტრი და თეოფანე, და რძლით—ელენე ქაიხოსროს ასულით პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, ოქტომბრის 26-ს დღის პირველ საათზე და საღამოს ექვს საათზე საკუთარ სახლში: „ნაზერეენაია“ 21. გამოსვენება იქნება კვირას, ოქტომბრის 27 ს დილის 9 საათზე ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკლესიაში იმავე დღეს. 2241

მეუღლე ეკატერინე სპირიდონის ასული მელუა პატარა ქეთინოთი; სიდედრი ელისაბედ ზაქარიას ასული შვილებით ანტონ და მიხეილ უთმელიძეები: აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, ოქტომბრის 27-ს ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი აჭყურის ბრძოლაში მოკლულის პორუჩიკის

ალექსი ლუკას ძის მელუას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 9 საათზე პანაშვიდი 11 საათზე. 2238

ღრმად დამწუხრებულნი ბიძები დომენტი და პანტელეიმონი და ძალოები ნინო და მანია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, ოქტომბრის 24-ს დილის 8 საათზე გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი და დაუვიწყარი პირველთა ძმისწული და მეორეთა მაზლისწული პრაპორშჩიკი

ვასილი ისიდორეს ძე ხმალაძე

დაკრძალვა მოხდება კვირას, ოქტომბრის 27-ს, ნაძალადევი სახლი ხმალაძისა, მუშათა ქუჩა ნაძალადევის ეკლესიაში და იქიდან კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე გამოსვენება სახლიდან დილის 9 საათზე. 2243

დამწუხრებულნი მშობლები იასონ ალექსის ძე, ალექსანდრა პროკოფის ასული კალოიანი შვილებით შალვა და ლილით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ უდროოდ დაკარგულ ძვირფას შვილს

თამრიკო კალოიანს

მოსწავლე მე-7 კლას. ტფილისის წმიდა ნინოს სასწავლებლის. პანაშვიდი მუდამ დღე საღამოს 7 ს. გამოსვენება სამშაბათს, ოქტომბრის 29-ს სახლიდან მილიუტინის ქუჩა, № 3. 2246

ხაშურის ორგანიზაცია სოც. ფედერალისტთა პარტიისა ამით აუწყებს თავის პარტიულ წევრებს, რომ კვირას, ღვინობისთვის 27 ს დილის 11 საათზედ ქალ. ხაშურში სასაფლაოს ეკლესიაზედ პარტიულ წევრის და მხნე მუშაკის

ნიკო ჯოჯიშვილის

მიცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილი იქმნება პანაშვიდი. 1385

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ივანე, მაზლი გარსევანი, მულები ანა და სოფიო პეტრეს ძენი და ასულნი, რძალი ბარბარე იოსების ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ, რომ პარასკევს ოქტომბრის 25-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ეკატერინე (კატო) ზაზანაშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ახალი დროით. მისამართი: ვორონცოვის ძეგლთან მონუმენტის შესახვევი № 6. ცხედარს გამოასვენებენ სამშაბათს ოქტომბრის 26-ს ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დილის 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათა საყურადღებოდ.

საინჟენერო-სატეხნიკო სექციის უფროსი ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო ტელეგრაფის შესასწავლად საჭიროანი არიან ახალგაზრდა ჯარის კაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟენერო სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება ტფილისში სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

1381 სამხედრო ინჟენერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი.

ი. გრიშაშვილი

საიათნოვა

იყიდება „სახალხო საქმის“ რედაქციაში, წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და კიკნაძის სააფთიაქოში.

1386

დილის წარმოდგენა სახელმწიფო თეატრი **დილის წარმოდგენა**

კვირას, ოქტომბრის 27-ს, 1918 წ. საქართველოს ჯარის სამუსიკო საქმეთა გამგის და მთავარ ლოტბარის კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება პირველად ტფილისში ქართულ-გერმანული სამხედრო მუსიკის

სანიმუშო კონცერტი.

დამკვრელთა დასების ცალ-ცალკე გამოსვლის შემდეგ, ქართველ-გერმანელთა მრავალრიცხოვანი ორკესტრი (100 კაცი) კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ქართული სამხედრო მუსიკის სანიმუშო პიესებს. შესრულებული იქნება სხვათა შორის კ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებული ძველი ქართული ჰიმნები: იამბიკოები, მუხამბაზები, ქებადები; სავრი და სხვანი. პროგრამაში შედის აგრეთვე ახლად გაორკესტრებით: ქართული ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერის, თავისუფლების მარში, არმაზის ჰიმნი **„კერპთა დამხობის“** ოპერიდან და სხვები. დასასრულ დაიდგმება საუცხოო აპოთეოზი, ცოცხალი სურათის სახით აღიმართება

თავისუფალ საქართველოს ძეგლის პროექტი.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ფასები ჩვეულებრივია. 1379

პ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახ. სახლი

[illegible] ქართ. წარმ. მზრ. წრე.

სამშაბათს, ოქტომბრის 29-ს, 1918 წ. წარმოდგენილი იქნება:

მეზობლები

დრამა 4 მოქმ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნი ქ. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ქ. ქილარჯიშვილი, ჭიაურელი; ბ.ბ. ნ. გოცირიძე, ს. რომანიშვილი, ფირიაშვილი, ი. მინდიაშვილი, ა მეტრეველი, ნინოშვილი, ა. თავდგირიძე, გ. ჯაბაური, ნ. ჭანკვეტაძე.

რეჟისორი *** რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

ადგილების ფასი 3 მ. 50 კ—დე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

2249 ქარ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 27-ს, გაიმართება

დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

გასტროლი სოლო კლოუნის და ცხოველების გამწვრთნელის ბ. ფლორენცისა. დღეს სენსაცია! **ფრანგული ჭიდაობა** ვირის და ძაღლისა. ჭიდაობა საბოლოოა. დღეს აეროპლანით იფრენს ბ. ნიკოლინი. დღეს **სამი ეშმაკი** დღეს ახალ კუპლეტებს იტყვის მ. ზინკოვსკი. მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი 8 ს. მთავარი ადმინისტრატორი **პ. ელიზაროვი.** 1292

ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა

აცხადებს, რომ აღნიშნულ სემინარიაში თავისუფალია მათემატიკური საგნების და ფიზიკის მასწავლებლის შტატის ადგილი; სწავლება ყველა კლასებში ქართულ ენაზე სწარმოებს.

მსურველებმა შესაფერი თხოვნები უნდა გამოგზავნონ სემინარიის მმართველობის სახელობაზე ათ ნოემბრამდის.

გამგეობა. 143

მოქალაქენო, გაერთიანდით!

ცენტრალური გაერთიანებული კომისია მოქალაქეთათვის პურის მისაწვდენად დაარსებული, რომელიც შესდგება გერმანელთა სამეურნეო მისსიის წარმომადგენლისა, ქალაქთა კავშირებისა და ტფ. ქალაქის გამგეობისაგან ამით აცხადებს, რომ **ნოემბრის დამდეგს** მოქალაქეებს მიეცემათ სულზე **ნახევარი გირვანქა პური** დაახლოებით 1 მ. 50 კ. გირვანქა.

პური მიეცემა მხოლოდ **სახლის კომიტეტებს,** ან გაერთიანებულ კომიტეტებს იმ წესით, რომელიც შემუშავებული იყო ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ.

პურის გაყიდვის ადგილები ჩამოთვლილია ყველა საუბნო სასურსათო კომიტეტში.

მოქალაქენო, დაარსეთ სახლის და სარაიონო კომიტეტები.

1382 **ტფ. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.**

საინჟენერო-სატეხნიკო სექცია იწვევს სამხედრო სამსახურში უკვე წინანდელ სამსახურში ვადა შესრულებულ უნტერ-ოფიცერთ და ზედამდეგებს (ფელდფებელებს) საპიონერო და ტელეგრაფისტებთა შემდეგს პირობებზე: კანონით გარდა სახელმწიფო ულუფისა, ტანსაცმლისა და ჯარისკაცის ჯამაგირისა დამატებით მიეცემათ კიდევ 250 მანეთი ყოველ თვე, ზემოხსენებულ პირთ. მსურველთ ევალებათ გამოცხადების დროს უსათუოდ წარმოადგინონ თავიანთ უწინდელი სამსახურის შესახებ საჭირო საბუთები; ვისაც ეს საბუთები არ ექნება, სამსახურში მიღებული ვერ იქნება. დაწვრილებით ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ ტფილისში საინჟენერო-სატეხნიკო სექციაში ყოფილი მთავარი შტაბის შენობაში სასახლის ქუჩაზე, ნაშუადღევის 2 საათიდან ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმე **დღეებისა.** 1375

ტფილისი, ოქტომბრის 27.

გუშინდელ ჩვენს **გერმანელები საქართველოში** გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი ცნობა რომ გერმანელებს მოუვიდათ ბრძანება გენერალ ლუდენდორფისა ნახევარი საქართველოში მდგარ ჯარისა სწრაფად წაიყვანონ აქედან. ამასთანავე გადმოცემული იყო, რომ აღძრულია შუამდგომლობა, რათა მთელი ჯარი დატოვებულ იქნას ჩვენში. მიუხედავად ამისა, ხალხში ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ პროვოკატორები და ჩვენი რესპუბლიკის მოსისხლე მტრები. გუშინ წინ გერმანელთა შტაბის წინ ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და გველივით სისინებდნენ. თავი წამოყვეს შავრაზმელებმა და თავის ნეტარებას ვეღარ ჰმალავენ. რა უხარიათ ამ ვაჟბატონებს? ნუ თუ აქვთ რაიმე საწინააღმდეგო თვით გერმანელებისა? რასაკვირველია არა. ისინი აშკარად ამბობენ და ჰგონიათ, რომ გერმანელების წასვლით საქართველოს დამოუკიდებლობა დაემხობა და შავრაზმელებს გაუთენდებათ წარსული მათთვის მზიანი დღეები. ქართველებმა ყველაფერზე ხელი უნდა აიღოთო, ამბობენ ღორბლ მორეულნი. ჯერ ეს ჩუმი ლაპარაკია, კულისებში, მაგრამ მეტი გათამამების მოლოდინში მაინც ვერ ჰმალავენ გულღვარძლიანობის და ქვენა გრძნობებს მართლა ასე საქმე, აქვთ რაიმე გასახარელი ჩვენს მტრებს? გვგონია რომ არა.

საერთაშორისო მდგომარეობა მართლაც გართულდა. გერმანია, რომელიც იბრძოდა ლომივით მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ და რომელმაც გვიჩვენა გასაოცარი ვაჟკაცობა და გმირობა—დღეს მოღლილია. თუმცა მისი ტერიტორიის არც ერთი მტკაველი არც ერთ მტერს არ წაუღია, თუმცა დღესაც ბრძოლა სხვის მიწა-წყალზე სწარმოებს, მაგრამ მდგომარეობა მაინც ისეთია, რომ გერმანიის მთავრობა და ხალხი ჰლამობს ზავის ჩამოგდებას. საქართველოდან გერმანიის ჯარის წასვლა, თუ ეს მოხდა, როგორც ირკვევა, შეიძლება ორი მიზეზით აიხსნებოდეს: ერთი მიზეზია სიფრთხილე, რომ აქ მდგომი ჯარი არ მოემწყვდეს, მეორე—როგორც ვილსონის მოთხოვნილების ასრულება დაჭერილ ადგილების განთავისუფლების შესახებ, პირველი მართლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამართლდა ოსმალეთის მიერ წარმოებული მოლაპარაკება ინგლისთან და სეპარატიული ზავი ჩამოვარდა. ოსმალეთ-ინგლისის ზავს უეჭველია ინგლისის შავ ზღვაზე შემოსვლა მოჰყვება და ეს საფრთხილოა გერმანელთა ჯარებისათვის. ეს არის გარეგანი მხარე მდგომარეობისა. მეორე მხარეც ასეთია - საქართველოდან გერმანიის ჯარი უნდა წავიდეს იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ჩაითვლება მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნად. მაგრამ ეს რომ ასე არაა, ყველამ ვიცით, ყოველმა შეგნებულმა ქართველმა იცის, თუ რა პირობებში შემოვიდა ჩვენში გერმანია და ვისთვის იყო ხელ საყრელი მაშინ მისი მოსვლა.

ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც უნდა გავიმეოროთ: საქართველოს დამოუკიდებლობის [illegible] ჟამს ჩვენ საშიშელ განსაცდელში ვიყავით. ჩვენ წაგვართვეს საუკეთესო მხარეები—ბათომი, ახალციხე, ახალ-ქალაქი. ბოლშევიკურ რუსეთისაგან გაყიდულნი, მარა გზაზე მოღალატურად მიტოვებულნი და შინაურ მტრებისაგან შეწუხებულნი ჩვენ ვიდექით განმარტოებულნი და იარების შეხვევა-საც ვერ ვახერხებდით. მადა გახსნილი ვერაგი მტერი

—ოსმალეთი ბორჩალოში გაჩნდა ტფილისს უახლოვდებოდა. და აი, მაშინ აღმოჩნდა ძლიერი ხელი, რომელმაც დახმარება გაგვიწია და გაჭირვებიდან გამოგვიყვანა. მან გადაარჩინა არამც თუ ჩვენი დამოუკიდებლობა, არამედ ჩვენი ერის ფიზიკური არსებობაც, თორემ ტფილისს ივნისს ის დღე დაადგებოდა, რაც ეხლა ბაქოს დაადგა. გათავხედებული მტერი ტფილისს მოვაშორეთ შეერთებულის ძალით და ბორჩალოში დაღვრილმა საერთო სისხლმა საფუძველი დაუდვა გერმანია საქართველოს კეთილ განწყობილებას. ჩვენ ამით არავის წინააღმდეგ არ გავვილაშქრნია და არც ერთს კოალიციას არ მივმხრობივართ ფაქტიურად. ჩვენი სუსტი ძალებით ვიცავდით თავს და აქ ძმური ხელი მოგვცა დიდმა გერმანიამ, რასაც შეგნებული საქართველო ვერასოდეს დაივიწყებს. ეს იყო ხსნა საქართველოსი და გერმანიის ჯარი იყო ის ძალა, რომელმაც ეს საქმე მოაგვარა ამიტომ ვერავითარ შემთხვევაში იგი ვერ ჩაითვლება ჩვენ დამპყრობად. გარდა ამისა, მთელი ხუთი თვის განმავლობაში იგი პირნათლად ასრულებდა ხელშეკრულებას და ჩვენს შინაურ საქმეებში არ ჩარეულა. ეს უნდა გვახსოვდეს კარგად. შინაური არეულობა-აჯანყებანი, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში რომ ჰხდებოდა, ჩავაქრეთ შინაურისავე, საკუთარი ძალებით.

გერმანია ჩვენში შემოვიდა, როგორც მეგობარი და თუ წავიდა, წავა, როგორც მეგობარი. გამართლდება ჩვენი მოსისხლე მტრების იმედები საქართველოს დაღუპვის შესახებ? რასაკვირველია, არა. ვსთქვათ ინგლისი შემოვიდა ამიერკავკასიაში. რა უნდა ჰქონდეს მას ჩვენს წინააღმდეგ? ჩვენ მის წინაშე პირნათლად ვართ. საქართველო თავიდანვე იცავდა ნეიტრალიტეტს და ეს გამოაცხადა დამოუკიდებლობის აქტშიაც. თუ ვიბრძოდით, ვებრძოდით საკუთარ მტერს და ისიც ინგლისის მოწინააღმდეგეს—ოსმალეთს. ჩვენ ვიცავდით ყველა სახელმწიფოს ინტერესს ჩვენში, რომელიც კი საქართველოს მტრად არ ჩაითვლებოდა. მოიგონეთ თუნდ ინგლისელ ტყვეების ისტორია. ამ დღეებში მოდიან ჩვენში ინგლისელთა საკონსულოები, რომელნიც რუსეთში დევნილნი არიან, ერთი სიტყვით, ჩვენ მუდამ ნეიტრალური სახელმწიფო ვიყავით და ვართ. ამ მხრით ჩვენს მესაფლავეებს იმედი არ გაუმართლდებათ.

ხოლო მათ, ვინც ეხლა თავი წამოჰყო და გველივით ასისინდა—ჰგონიათ, რომ გერმანელების წასვლით შეძლება მიეცემათ საქართველოში არევ-დარევა შექმნან, დამოუკიდებლობას ძირი გამოუთხარონ —მწარედ სცდებიან. საქართველოს ხალხს შესწევს ძალა შინაური მტრების ალაგმვისა და გველთა თავის გაჭეჭყვისა. მოიგონონ დუშეთი, სამეგრელო, ცხინვალი და სხვა და ადვილად დარწმუნდებიან ამაში. ამიტომ ჩვენი მტრების სიხარული სრულიად უნიადაგოა. გარეშე მტრებს ჩვენ არ ვებრძვით და არც მოსალოდნელია ვინმე შეგვებრძოლოს. ხოლო შინაური მტრებისათვის ჩვენი ხმალი საკმაოდ ძლიერი და მჭრელია.

ახსოვდეთ კარგად ეს ჩვენს მტერმოყვრებს.

ჩვენ და სომხები

ქართველ-სომხეთა ურთიერთობამ მწვავე ხასიათი მიიღო და ამ სტრიქონების დაწერის დროს დიდს კრიზისს განიცდის. ჩვენ და სომხებს კარგა ხანია ურთიერთ შორის სადავო საკითხები გვაქვს. მათი გადაჭრა წინ წამოიჭრა განსაკუთრებით დღეს, როცა ორივე ერი მოწადინებული ვართ თავისუფალ ცხოვრებას და ეს თავისუფლება ჯერ სავსებით ვერ ჩამოგვიყალიბებია, ვერ მოგვიწყვია და ვერ დაგვილაგებია ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა.

არა ჩვეულებრივი და არა გაგონილი ქართველ-სომხეთს ურთიერთობაში არა არის რა. ყველგანაა ასეთი დავა, სადაც მეზობლად სცხოვრობს ორი განსხვავებული ერი—თავის კულტურით, საკუთარის სახით, მისწრაფებებით. ყოველთვის ეცილება ერთი-მეორეს რამეში, უფრო სადავო მუდამ ტერიტორია ყოფილა და არის. ასე იქნება, ვიდრე ეროვნული საკითხი საყოველთაოდ არ გადაწყდება და ეროვნული პიროვნების ხელშეუხებლობა საფუძვლად არ დაედება საერთაშორისო დამოკიდებულებას.

ქართველების და სომხების დავა ტერიტორიის და ამა თუ იმ მკვიდრთა ეროვნული განსაზღვრის შესახებ ძველი ამბავია. წარსულშიც ბევრი ყოფილა ამის მაგალითი, და თუ დღეს განსაკუთრებულის სიმწვავით ამ გვარ უთანხმოებას, აქვს ადგილი ეს ალბად აიხსნება მდგომარეობის საერთო გართულებით...

ჩვენი შეხედულება ამ საკითხის შესახებ ყოველთვის გარკვეული იყო: ჩვენ და სომხები აუცილებლად უნდა შევთანხმდეთ, დაუთმოთ ერთმეორეს და მოვრიგდეთ, თუ გვინდა ჩვენი ეროვნების დაცვა და თავისუფალი ეროვნული ცხოვრება. ამას ვამბობდით გადაჭრით რუსეთის ბიუროკრატიის ბატონობის დროს, ამას მოვითხოვდით მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ამას ვიცავდით რევოლიუციის დღეებში, ამ აზრს ვადექით როცა რუსეთის და კერძოდ ამიერკავკასიის ბედი სულ აირ-დაირია ეს პრინციპი არ დაგვიწყებია მაშინაც, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ქართველი ერი თავისუფალ ცხოვრების მოწყობას შეუდგა. როგორიც უნდა იყოს გარემოება, არასოდეს არ შევცვლით შეხედულობას, რომ კავკასიელ ერთა თავისუფლება ცალიერი სიტყვა იქნება, თუ არ მორიგდნენ და კავშირი არ იქონიეს ერთმეორესთან, განსაკუთრებით ეს აუცილებელია ქართველებისა და სომხებისათვის, რომლებისათვის ოსმალეთი ყოველთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც.

ამის უკუგდება არ შეგვიძლია ეხლაც, როცა ბორჩალოს მაზრაში მომხდარმა ამბებმა ერთ-მეორის პირისპირ დააყენა საქართველოს და სომხეთის ჯარები. მიუტევებელი და სამუდამოდ გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენ ერთმანეთს იარაღით დავეტაკოთ და სისხლით გადავწყვიტოთ სადავო საკითხები. ამისგან თუ მოიგებდა ვინმე, მხოლოდ ორივეს მტერი. ეს დაამტკიცებდა, რომ ჩვენ დამოუკიდებლად არსებობა არ შეგვიძლია, ერთიმეორის მეზობლად ვერ ვიცხოვრებთ, თუ ვინმე გარეშე ბატონი არ გვეყოლა. ეს გაამწვავებდა ქართველ-სომხების ურთიერთობას. თვითონ საქართველოში, დაბადებდა მტრობას და ერთმეორის სიძულვილს, რაიც მეტად დააბრკოლებდა ჩვენი შინაური მოქალაქობრივი ცხოვრების მოწყობას.

დღეს ჩვენთვისაც და სომხებისთვის უდიდესი ისტორიული ხანაა—ჩვენი ორივესი აღდგენა და აღორძინება იწყება, და მთელი ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიპყრობილი დამოუკიდებლობის, საკუთარი სახელმწიფოებრივობის განმტკიცებისაკენ. ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ ამ საქმეში და არა ხელი შევუშალოთ, ვინაიდან გამაგრებული სომხეთი საქართველოს სიმტკიცეა ისე, როგორც დამოუკიდებელი განმტკიცებული საქართველო თავმდებია სომხის ერის თავისუფლებისა.

არ უნდა დაგვაბრმავოს წუთიერმა გულისწყრომამ, უნდა ნათლად გავითვალისწინოთ საერთო ვითარება და მომავალი და მივიდეთ ერთმანეთთან არა მახვილით და ცეცხლით, არამედ მშვიდობიანობის სიტყვით. პატივი ვსცეთ ერთმეორის ინტერესებს და, ასე იქნება თუ ისე, აუცილებლად გამოვნახოთ შეთანხმების და მორიგების საშუალება დაპყრობის და ძალადობის პოლიტიკამ არავის მოუტანა სარგებლობა, არა ერთი ჩვენზე ბევრად ძლიერი ერი დაამხო და დაღუპა და არც ჩვენისთანა პატარა ერებს დააყრის ხეირს. ნურავინ დაეყრდნობა მოსულ წარმავალ ძალას და ნუ იფიქრებს, რომ გარეშე შინაურ სიმკვიდრისა რასმე შეეძლოს საქართველოს ან სომხეთის თავისუფლების დაცვა.

მშვიდობიანობა და შეთანხმება—მხოლოდ ეს, მხოლოდ ეს უნდა ამოძრავებდეს ყოველს შეგნებულს მამულიშვილს და სახელმწიფო მოღვაწეს ჩვენშიც და სომხეთშიც!

სამ. ფირცხალავა.

მთავრობაში

მთავრობამ მოიწონა და პარლამენტს გადასცა კანონ-პროექტი იმ ოჯახების დახმარების შესახებ, რომელთა ერთადერთი მარჩენელი ჯარში იქმნა გაწვეული.

—

სამხედრო მინისტრს ნება მიეცა გაგზავნოს ნამდვილ სამსახურის 10 ოფიცერი ფლოტის საზღვაო კურსებზე ზღვაზე მიმოსვლის საქმეთა სპეციალურად შესასწავლად.

—

მთავრობამ დაადგინა გაეხსნას კრედიტი განათლების მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 30,000 მან. ტფილისის სასწავლებელთა შენობების შეკეთებისათვის.

—

დადგენილია, შტატს გარეშე დარჩენილ მოხელეთა სალიკვიდაციო ფულით დაკმაყოფილების შესახებ, გადაეცეს სახელმწიფო კონტროლიორს დასკვნისათვის.

—

ფინანსთა მინისტრს 10 მილიონიან ფონდიდან გაეხსნა 472,000 მან. კრედიტი კავკასიის სამეტალურგიო და სამრეწველო საზოგადოებისაგან ოქრო-ვერცხლის შესაძენად და მასთან დაკავშირებულ ხარჯებისათვის.

—

მთავრობამ ჭიათურის შავი ქვის საქციონერო საზოგადოებას ნება მისცა აქციებზე სალერბო ფასი ორ ნაწილად გადიხადოს.

—

მთავრობამ გადასწყვიტა შეწყვეტილ იქმნეს საზღვარ გარეთიდან გამოგზავნილ ფულების გადახდა საკონვენციო შეთანხმების დადებამდე. ხოლო ფინანსთა მინისტრს ნება მიეცეს კონკრეტულ შემთხვევაში გამონაკლისისათვის.

—

გზათა მინისტრს 10 მილიონიან ფონდიდან 650000 მანეთის კრედიტი გაეხსნა ტყვიბულის მაღაროების საჭიროებისათვის.

უკანასკნელი ცნობები

ოსმალეთის სეპარატიული ზავი

სომხურ გაზეთ „აშხატავორის“ ცნობით ოსმალეთს მოკავშირეებთან სეპარატიული ხელშეკრულება უკვე დაუდვია. ამ ხელშეკრულების ძალით სტამბოლი და მისი სრუტეები მოკავშირეთა ხელში გადავა თურმე.

საქართველოს პარლამენტი

ოქტომბრის 28-ის სხდომა.

დღევანდელ კრებას განსახილველი აქვს ექვსი კანონ-პროექტი და სამი შეკითხვა.

შეკითხვებში კრების ყურადღებას იპყრობს საპყრობილეში მოთავსებულ ბოლშევიკების (ბუდუ მდივანის, საბაშვილის და სხვათა) შესახებ შეკითხვა რომლის ავტორი, სომხის ერის წარმომადგენელი თარხანოვი მოითხოვს შეკითხვა განხილულ იქმნას სასწრაფოდ. „ეს ბოლშევიკები—ამბობს ინტერპელიანტი—უსამართლოდ არიან დაპატიმრებულნი და დღემდე არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ მათთვისო. ამის გამო პატიმრებმა სიმშილობა გამოაცხადესო“. და რომ იტალიური გაფიცვის გამო ბუდუ მდივანი და საბაშვილი ავად გამხდარან, ამაში ბრალი თურმე მთავრობას ედება. კრებამ სამართლიანად უარყო შეკითხვის სწრაფად განხილვა და ჩვეულებრივი ხასიათის შეკითხვად მიიჩნია იგი.

გასაკვირველი არ არის, რომ ტფილისისათვის კარგად ცნობილი თარხანოვი და თუმანოვი („მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერები“) ექომაგებიან იმ პირთ რომელთა გულმოდგინე მუშაობის წყალობით დაღვრილი სისხლი საქართველოს სამხედრო გზით არც ისე ადვილად დაავიწყდება ქართველ ერს. საკვირველი ის არის, რომ თარხანოვს მხარს უჭერენ და შეკითხვის სისწრაფეს იცავენ ქართველი სოციალისტ-რევოლიუციონერები. ეშინიან, ალბად, ეჭვი არავინ შეიტანოს მათ სოციალისტობასა და რევოლიუციონერობაში... და ბოლშევიკების დაცვა ხომ უაღრეს სოციალისტობად და მემარცხენეობად არის აღიარებული.

წარმოდგენილ კანონ-პროექტში კრებამ განიხილა და მიიღო მხოლოდ ერთი—შავი ზღვის რკინის გზის დამთავრების კანონ-პროექტი. კრება ერთხმად ადასტურებს ამ კანონ-პროექტს, ხოლო მცირეოდენ კამათს იწვევს ზუგდიდის საკითხი. საქმე ის არის, რომ ძველი პროექტით შავი ზღვის რკინის გზა 4—5 ვერსით გვერდს უხვევს ქალ. ზუგდიდს ამ დიდ მნიშვნელოვან ეკონომიურ ცენტრს. ძველი მთავრობისაგან ეს გასაგებია: გზების გაყვანის დროს მათ იშვიათად თუ ჰქონდათ თვით პირდაპირი ეკონომიური მოსაზრებანი. არც დღევანდელ კრებაზე წარმოდგენილ კანონ-პროექტია კათეგორიულად მოთხოვნილი, რომ გზამ უთუოდ ზუგდიდზე გაიაროს. ს.-ფ. წარმომადგენელი მოითხოვს სწორედ, რომ პარლამენტმა დაადასტუროს და კათეგორიულად აღნიშნოს კანონ-პროექტში, რომ გზამ ზუგდიდზე გაიაროს.

მეორე კანონ-პროექტი—დამფუძნებელი კრების დებულებისა—წაკითხულ იქნა, ხოლო მისი განხილვა შემდეგი კრებისთვის გადაიდევა.

ს. უ—ლი.

—

კრება იხსნება 1 ს. 40 წ. ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. ი. აბაკელია კითხულობს სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლის ჯამალიანის დეპეშას, რომელშიაც ის მადლობას უძღვნის ქართველებს ბაქოში სომხებისათვის დახმარების აღმოჩენისათვის. დეპეშა გამოგზავნილია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე.

მცირეოდენი შესწორების შემდეგ კრება ამტკიცებს დღიურ წესრიგს. წესრიგში მე-11 მუხლად დასმულია პარლამენტის წევრთა **თარხანოვის და თუმანოვის** შეკითხვა შესახებ ბუდუ მდივანის და სხვათა „უსამართლოდ დატუსაღებისა“ ამ პატიმართათვის მოხსენებულია შეკითხვაში—დღემდე არ წამოუყენებიათ ბრალდება და გაუსამართლებელნი სხედან საპყრობილეშიო. პატიმრებმა სიმშილობა გამოაცხადეს და ბუდუ მდივანი და საბაშვილი ამის გამო უკვე ავად გახდნენ.

თარხანოვი იცავს შეკითხვის სისწრაფეს და მოითხოვს იგი პირველ რიგში იქმნეს განხილული.

ნინიძე (ს.-დ.) ასაბუთებს, რომ ეს შეკითხვა ჩვეულებრივი ხასიათისაა და ამიტომ წინააღმდეგია, რომ იგი სასწრაფოდ იქმნეს განხილული.

ხმის უმეტესობით თარხანოვის წინადადება უარყოფილია და შეკითხვაც დატოვებულია მე-11 მუხლად. სოციალისტ-რევოლიუციონერებმა მხარი დაუჭირეს თარხანოვის წინადადებას.

მიღებულ კანონთა საბოლოო რედაქციების მიღებისა და ახალი კანონ-პროექტების კომისიებში გადაცემის შემდეგ კრება იხილავს შავი ზღვის რკ. გზის კანონ-პროექტს.

შავი ზღვის რკინის გზა.

მომხსენებელი იოს. გობეჩია. შავი ზღვის რკინის გზის გაყვანა, რომელიც სიგრძით 329 ვერსია, კერძო კომპანიას ჰქონდა აღებული. გზის გაყვანა უნდა დაწყებულიყო 1916 წელს და დამთავრებულიყო 1917 წელს. ომის დაწყების შემდეგ მთავრობამ ხელი შეუწყო და სუბსიდია მისცა მას, რათა გზის გაკეთება დაეჩქარებინა. მაგრამ გამოცხადდა რევოლიუცია და მუშაობაც შეფერხდა. არავითარი მუშაობა აღარ სწარმოებდა გზის დამთავრებისათვის. მისაღები იყო, მაგრამ მუშები ვერ ახერხებდნენ მუშაობას იმ დროს შექმნილ პირობების გამო. ჩვენმა მთავრობამ მოვალედ ჩასთვალა თავი ყური ეგდო ამ უპატრონოდ დარჩენილ გზისათვის და ამ სამი თვის წინად დაადგინა მოეხდინა ლიკვიდაცია გზის იმ ნაწილისა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა. მართლაც მოხდა ლიკვიდაცია მოსამსახურეთა, ხოლო შავი ზღვის რკინის გზის საკითხის მეორე მხარე—ამ გზის დამთავრების შესახებ—გადაუჭრელი დარჩა. მთელი გზა 3 უბნად იყოფება: ტუაფსე-სოჭის უბანი, სოჭა-სოხუმის და სოხუმ-ახალსენაკის. პირველი უბანი დამთავრებულია და მიმოსვლაც სწარმოებს; მეორე უბანში მუშაობა დაწყებულია. მესამე უბანი უფრო კარგ პირობებში იმყოფება: ამ ნაწილში $^3/_4$ მთელი მუშაობისა უკვე დამთავრებულია. ახალსენაკიდან 19 ვერსის მანძილზე რელსებიც არის დაგებული, დარჩა სულ $^1/_4$, რომ შევსძლოთ მატარებლით მიმოსვლა. პატრონი კი—აქციონერთა კერძო კომპანია არ სჩანს. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ მოუაროთ ნაწილს ამ გზისა, ჩვენს ტერიტორიაზე რომ არის. ამას დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს: გაადვილდება კულტურული მიმოსვლა აფხაზეთთან და იქ დაგროვილ სიმდიდრის (სოფ. იქაური კარგი ღვინოების ქვა-ნახშირის) გადმოტანასაც შესძლებთ—ამასთანავე ეს გზა შავი ზღვის ნაპირას გადის, სადაც საუკეთესო სანავთსადგურო ადგილებია, ამას გარდა, თუ ჩვენ შავი ზღვის რკინის გზას დავამთავრებთ, ამით სამუშაოს მივსცემთ იმ მუშებს, რომელნიც ამიერკავკასიის რკინის გზაზე მომხდარ ლიკვიდაციის გამო უმუშევრად დარჩნენ.

რადგან გზას ჩვენ დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას ვაწერთ, რასაკვირველია, ის გაივლის ეკონომიურ ცენტრებში. ამიტომ შავი ზღვის რკ. გზამ გვერდი არ უნდა აუაროს ქალ. ზუგდიდს.

მომხსენებელი კითხულობს კანონ-პროექტს, რომლის შესახებ სიტყვა ეძლევა ს. დადიანს.

ს. დადიანი (ს.-ფ.) პარლამენტის წევრნო! თქვენ მოგეხსენებათ, თუ რა მიზნებით და მოსაზრებებით შენდებოდა ძველ რუსეთში რკინის გზები. ამ შემთხვევაში მთავრობას ჰქონდა სტრატეგიული ან აგრესიული მიზნები შავი ზღვის რკ. გზის გაყვანის მიზანიც სწორედ სტრატეგიული იყო და ამ მიზანს შეეწირა პირველი გაცილებით უფრო უკეთესი გეგმა ამ გზისა, რომლის მიხედვით გზას ქუთაისში უნდა გაევლო, თუმც უკეთესი იყო ეს ვარიანტი, მაგრამ იგი მივიწყებულ იქმნა. აქ თავი იჩინა აგრეთვე მდიდრების ინტერესებმა, რომელთა მიწაზე უნდა გაევლო გზას. აქ დავასახელებ მე მინგრელსკის, მის მიწაზე უნდა გაევლო გზას და ამიტომ რომ მისი ინტერესები არ შელახულიყო, მოწონებულ იქმნა პროექტის მეორე გეგმა, რომლის მიხედვითაც ქალ. ზუგდიდი 4—5 ვერსის მანძილზე მოშორებული რკინის გზას. რომ ზუგდიდს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს და ამიტომ უაღრესად საჭიროა, რომ რკინის გზამ მას გვერდი არ აუაროს, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. მაგრამ მდიდართა ინტერესებმა სძლიეს და ეს მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრი მოწყვეტილ იქმნა რკინის გზას. ასეთი იყო მდგომარეობა ძველი რუსეთის დროს. არც ახალ ხანაში, რევოლიუციის დროს შეიწყნარეს საღი მოსაზრებანი ზუგდიდის ეკონომიურ მნიშვნელობის შესახებ. ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით იქ მოხდა თათბირი შავი ზღვის რკ. გზის შესახებ. როდესაც ამ თათბირზე ამტკიცებდნენ და ასაბუთებდნენ, რომ უაღრესად საჭიროა გზა ზუგდიდზე გავიდესო, ერთმა ჯარისკაცმა, რომელსაც მაშინ ძალა და ხმა ჰქონდა, მგონი ვერეშჩაკმა, უარჰყო ეკონომიური მნიშვნელობა ზუგდიდისა: რა დროს გადატანზეა ლაპარაკი, ეგ თხილი დაჯექით და სჭამეთო. აი ამ გვარი მოსაზრებები იყო, რომ ზუგდიდის ეკონომიურ მნიშვნელობას უარყოფდნენ.

ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ის, რომ კანონ-პროექტში კათეგორიულად არ არის მოხდენილი გზამ უთუოდ ზუგდიდზე გაიაროსო და ამიტომ ჩვენი ფრაქცია მოითხოვს, რათა პარლამენტმა დაადასტუროს, რომ გზა გაივლის ზუგდიდზე.

გზათა მინისტრი **ივ. ლორთქიფანიძე** იცავს გობეჩიას მიერ წაკითხულ ფორმულას.

მომხსენებელი **ი. გობეჩია** იცავს თავის პროექტს და ამბობს, რომ ტექნიკოსების აზრით ზუგდიდზე რომ გზამ გაიაროს, ამისათვის საჭიროა შორიდან მოვლა და ახალი ხაზის გაყვანა.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ კანონ-პროექტი მიღებულია.

დამფუძნებელი კრების დებულება

მომხსენებელი **ალ. ლომთათიძე.** ერთად ერთი მასალა დამფ. კრ. დებულებათა შედგენისათვის იყო რუსეთის დამფ. კრების დებულების კანონი. როდესაც კომისიამ განიხილა ეს კანონი და შეადარა რუსეთის პირობები საქართველოს დღევანდელ პირობებს დიდი განსხვავება დაინახა მათ შორის. იქ არსებობდა ერობა და საქალაქო თვითმართველობა, რომელთაც დაევალა დამფ. კრების დებულების გატარება. დედა ძარღვი იყო ერობა, რომელსაც ეს დებულება უნდა გაეტარებინა. ჩვენში კი ერობა არ არსებობდა, ერთად ერთი დაწესებულება იყო საქალაქო თვითმართველობა და ჩვენს კომისიას უნდა გამოენახა გზა, რომლითაც უნდა ევლო ქალ. თვითმართველობას, რომ მას შეესრულებინა ის, რაც რუსეთში ერობას დაევალა.

ეს დებულება შედგენილი იყო და დაურიგდა ფრაქციებს მაშინ, როდესაც ჩვენში საერობო არჩევნებიც არ იყო დაწყებული, და ამიტომ იქ მხოლოდ ქალ. თვითმართველობას ევალება დებულების გატარება. მაგრამ ქალ. თვითმართველობას შეუძლიან არჩევნების მოწყობა მხოლოდ ქალაქის საზღვრებში. როგორც მოეწყოს საქმე, რომ ქალ. თვითმართველობამ პროვინციაში გადაიტანოს თავისი მოქმედება?

საჭიროა მუშაობაში ჩაბმულ იქმნეს ყველა მომქმედი პარტია. ქალაქის გამგეობებს ევალება, რომ მათ ჩააკისრონ გამგეობის ერთ წევრს, რათა ან შეადგინოს მაზრის საარჩევნო კომისია ახალი წესით: მოიწვიოს პარტიათა წარ-

ნოემბრის ქარი*)

ნოემბრის ქარი მიეხალა ღამით მართულებს,
ნოემბრის ქარმა დაიხია მართულზე კალთა,
პირქუშ ზეზერმა გადაიგდო მათხოვრის ხალთა,
და უკაკუნებს მაღალ ფანჯრებს, მაღალ სართულებს.
ნოემბრის ქარი სტუმარია მიუწვეველი
როგორც ჩემ გულში ბინადარი უსიტყვო დარდი
ნოემბრის ქარმა გადაქუერა გარედ ტყე-ველი,
ნოემბრის ქარმა ინახულა ჩემი მანსარდი.
ღამის განდეგილს ბნელ ღამეში ვით შემაშინებს
გათოშილ თითებს მართულებზე რო ათამაშებს
გარედ შინებზე ფანრის შუქი ჰკრთის და თამაშებს
სძინავთ მაშინებს, ჩემს მეზობლად მქშინავ მაშინებს.
ვითა დემონი გადაევლო მკრთალ სილუეტებს,
აანთო სადღაც ელექტრონის ცეცხლის ცისკარი.
და ტელეგრაფის გარინდებულ, ჩონჩხიან სვეტებს,
ბნელში ატოკებს, აზუზუნებს ნოემბრის ქარი.

ბერლინი.
1918 წ. შემოდგომა.

კოწია გამსახურდია.

---

*) ამ ლექსის გერმანული თარგმანი დაიბეჭდა გერმანულ ჟურნალში „ახ. აღმოსავლეთი“.

მომადგენლობა და ძალთა განწყობილების მიხედვით შეადგინონ კომისია. სულ ოთხი კომისია: ცენტრალური, სამაზრო, სოფლის საზოგადოების და სოფლის მცირე ერთეულის კომისია.

მეორე კითხვა: ვის უნდა დაეკისროს ცხოვრებაში გატარება საარჩევნო საქმისა.

მთავრობა [illegible] უამრავი საქმით, არის დატვირთული. პარლამენტს კი შეუძლია გამოჰყოს თავის წარმომადგენლობიდან კომისია. მთავრობაც მთელ თავის საარჩევნო [illegible] პარლამენტს გადასცემს. პარლამენტმა უნდა გამოჰყოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და ამ კომისიამ კი დანარჩენი კომისიები უნდა შეადგინოს.

შემდეგ დაისმება კითხვა, თუ ვის უნდა ჩამოერთვას საარჩევნო უფლება. აქ გადაწყვეტილ [illegible], რომ აქტიური საარჩევნო უფლება არა აქვთ ჯარს და ადმინისტრაციას. [illegible] უნდა მტკიცე იყოს დისციპლინა ჯარში, თუ ჯარისკაცები მონაწილეობას მიიღებენ საარჩევნო კომპანიაში, ეს [illegible] ყაზარმებშიაც იქნება გადატანილი და ამიტომ შეუძლებელია ჯარს აქტიური საარჩევნო უფლება მიეცეს. პარლამენტმაც ხომ მიიღო ძირითადი კანონები, რომლების მე-7 თუ მე-14 მუხლი ამბობს: ჯარი პოლიტიკის გარეშე სდგასო.

აქტიური საარჩევნო უფლება ჩამოერთმევა აგრეთვე ადმინისტრაციას, მილიციასა, ესე იგი იმ პირთ, რომელთაც დაეკისრებათ წესიერების დაცვა არჩევნების დროს.

პროექტით პასიური საარჩევნო უფლება ეძლევა ყველა მოქალაქეს, ვისაც 19 წელი შეუსრულდა.

დასასრულ მომხსენებელი ეხება ზაქათალის ოლქს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში არჩევნების მოწყობას და დამფ. კრების წევრთა რიცხვს.

კამათი მოხსენების შესახებ შემდეგი კრებისათვის გადაიდო.

კრება დაიხურა ნაშუადღევის 3 ნახევარ საათ.

ომს დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

სტამბოლი. 25 ოქტ. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა ალეპოს სამხრეთით უკუ აქცია მოახლოვებული მტრის მზვერავი რაზმი.

მესოპოტამიის ფრონტი. ტიგრისა და ევფრატის ფრონტებზე მტერს არც ერთხელ არ გაუმარჯვნია, რომ აღსანიშნავი ყოფილიყო. დანარჩენ ფრონტზე ახალი არაფერია.

ბერლინი, 26 ოქტ. სალამოს სამხედრო ცნობა. ფლანდრიაში ლისსა და შელდის შუა მტრის იერიშები მოვიგერიეთ. შელდისა და უაზის შუა ღირს აღსანიშნავი არაფერი მომხდარა. 50 კლომ. ფრონტზე უაზიდან მდინ. ენამდე უაზისა და სენის დასავლეთით მტერს ძლიერმა იერიშმა უნაყოფოდ ჩაიარა. მდინ. ენის აღმოსავლეთით და მაასის ორივე მხარეზე უმნიშვნელო ბრძოლაა.

ზავის გარშემო

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

მოკავშირეების პრესა წინააღმდეგია გერმანიასთან ზავისა და მის განადგურებას მოითხოვს.

ბერლინი, 23 ოქტ. სამშაბათს 22 ოქტ. გერმანიის კანცლერმა რეიხსტაგში შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: ბატონებო, მას შემდეგ, რაც მე თქვენთან პირველად ვილაპარაკე, უკვე გადავდგით შემდეგი ნაბიჯები სამშვიდობო მოლაპარაკების საქმეში, თანახმად გერმანიის ახალი მთავრობის განმარტებისა; პირველად პრეზიდენტ ვილსონის კითხვები მოგვივიდა. ჩვენმა არა ორჭოფულმა და ნამდვილმა პასუხმა გამოიწვია ვილსონის ახალი კითხვები. ჩვენი პასუხი ამ შეკითხვაზე გუშინ გამოქვეყნდა. ბატონებო, გერმანიის ხალხს სურს მოისმინოს თუ როგორი პერსპექტივები აქვს მთავრობას ზავის შესახებ. თქვენ გესმით, რომ მე შემიძლია შევეხო ამ საკითხს, მხოლოდ დიდი სიფრთხილით.

პრეზიდენტ ვილსონის ნოტას მდგომარეობა სრულიად არ გამოურკვევია. შესაძლოა პრეზიდენტის უკანასკნელმა პასუხმა შესძლოს ეს. იმ დრომდე კი, ბატონებო, ჩვენ გონივრულად მოქცევა გვმართებს და ყოველგვარ პირობებში მზად შევხვდეთ მოსალოდნელ ალტერნატივას. ჩვენს მოწინააღმდეგეთ სურთ განაგრძონ ომი. ჩვენ მეტი რა გვრჩება, რომ მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალღონე და თავი დავიცვათ. თუ ეს ჩვენთვის აუცილებელი შეიქნა, მაშინ გერმანიის მთავრობას გერმანიის ხალხის სახელით შეუძლია ილაპარაკოს ერის დაცვაზე ისე, როგორც უფლება ჰქონდა გერმანიის ხალხის სახელით ელაპარაკა, როცა სამშვიდობო ნაბიჯებს სდგამდა. აღმსარებელი პრინციპისა: „ზავი უფლებაზე დამყარებული“ დროებით თავის თავზე კისრულობს მოვალეობას, არ მიიღოს წინააღმდეგობის გაუწევლათ ძალაზე დამყარებული ზავი. მთავრობა, რომელიც არ უფრთხილდება ასეთ მდგომარეობას, გერმანიის ერის მეომართა და მუშათა ზიზღს დაიმსახურებს და საზოგადოებრივმა აღშფოთებამ შესაძლოა მიწის პირიდან აღგავოს. მაგრამ, ბატონებო, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს არც მეორე დებულება თავისი მოსალოდნელი შედეგებით.

ჩვენი პოზიციის სიძლიერე იმაზე კი აღარაა დამოკიდებული, თუ რა მიგვაჩნია ჩვენ სამართლიანად. არამედ დამოკიდებულია ჩვენ კამათზე მოწინააღმდეგებთან, რომელნიც აღიარებულ იქნებიან სამართლიანად. ეს კი დიდ თავგანწირულებას მოითხოვს გამარჯვებებს ჩვეულ და ამაყ ერისაგან. საკითხი, თუ რა არის უფლება, არ გადასწყდება ჩვენს საზღვრებთან,რომელსაც ჩვენ არავითარი ძალის წინაშე არ გავხსნით. პუნქტები, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ეხება აგრეთვე ჩვენს შინაურ ცხოვრებას. ბატონებო, მე მიპასუხეს, რომ ვილსონის პირობათა მიღება მოასწავებდა გერმანიის მორჩილებას მტრის ტრიბუნალის წინაშე, რომელაც გადასწყვეტდა უფლების საკითხს თავისი ინტერესების თანახმად. ეს რომ ასე იყოს, მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა უკიდურეს ნაციონალეგოისტებს ისე ეშინიათ კონფერენციის, როგორც დამნაშავეს სასამართლოსი. ვილსონის პროგრამის მთავარი პრინციპია „ხალხთა ლიგის“ პრინციპი, ეს არ განხორციელდება, თუ ლიგის ყველა მონაწილე ერმა მსხვერპლი არ გაიღო. უფლებათა ერთობა მოითხოვს, როგორც ჩვენგან, ისე ყველასგან, სრული დამოუკიდებლობის შეკვეცას. ამას ჩვენი მომავლისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება. ეს იქნება ის საფუძველი, რომლითაც ჩვენ, როგორც მთლიანი ნაცია განვითარების გზას დავადგებით. თუ ჩვენთა აზრთა მიმართულება არ შეიცვალა, ჩვენ ვერ მოვიცილებთ ნაციონალურ ეგოიზმის პრინციპს, რომელიც დიდი ხანი არაა რაც ერის მთავარი პრინციპს შეადგენდა. უამისოდ, ბატონებო, ჩვენი ცხოვრების გამომთელება და აღორძინება არ მოხდება. დარჩება მხოლოდ უკმაყოფილების გრძნობა, რომელიც ჩვენს შთამომავლობას დიდი ხნით მოუსპობს შემოქმედებითი უნარს.

სომეხ-ქართველთა უთანხმოება

ქაჯაზნუნისაგან სომხეთის რწმუნებულს ჯამალიანს მოუვიდა შემდეგი დეპეშა; სომხეთის საბჭომ მოისმინა ჩემი მოხსენება საქართველოს ნოტის (№ 4303) შესახებ, რომელიც ულტიმატის კილოთი მოითხოვს შაჰალის დაცლას. საბჭო:

1) მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს იწონებს და ადასტურებს, და წინადადებას აძლევს მას (მთავრობას) მტკიცედ დაადგეს თავის პოლიტიკას.

2) ავალებს მთავრობას ყოველივე ზომა მიიღოს კონფლიქტის მშვიდობიანის გზით გათავებისათვის და იმედოვნებს, რომ საქართველოც ხელს აიღებს აგრესიულ მოქმედებაზე და არ გადალახავს იმ ხაზს, რომლის წინაც დღეს მისი ჯარები სდგას.

3) ამის შესახებ ეცნობოს საქართველოს მთავრობას.

მინისტრი-თავმჯდომარე **ქაჯაზნუნი.**

ჯარის გაწვევა სომხეთში

სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრი აცნობებს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომ ჯარში იწვევენ ყველა სომეხ ახალგაზრდებს 20—25 წლამდე, ე. ი. მათ რომელნიც დაბადებული არიან არა უადრეს 1894 წ. პირველ იანვრისა და არა უგვიანეს 1899 წლის პირველი იანვრისა.

ჯარში გაწვეული არიან აგრეთვე ყველა სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქენი, რომელნიც დღეს სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებს გარეშე იმყოფებიან და ისინი ვალდებული არიან დანიშნულ დღეს ერევანში გამოცხადდენ.

გაწვეული იქნებიან ყველა სკოლების სრულ წლოვანი მოწაფეები, ე. ი. ზემოხსენებულ წლებში დაბადებულნი. გაწვევიდან განთავისუფლებულ იქნებიან მხოლოდ საშუალო სკოლების მოწაფეები.

ახალი ამბავი

◆ **ბოლშევიკების შიმშილობა.** რედაქციას მოუვიდა წერილი ტფილისის საგუბერნიო ციხეში მყოფ ბოლშევიკებისაგან, რომელშიაც ისინი განმარტავენ სიმშილობის გამოცხადების მიზეზებს, მოითხოვენ რაც შეიძლება მალე წარედგინოთ საბრალმდებლო ოქმი და გამოძიებულ იქმნას საქმე. წერილს ხელს აწერენ: ბუდუ მდივანი, ის. თალაკვაძე, ს. ალავერდოვი, არკ. ელბაქიძე, პ. საბაშვილი, მ. ხოშტარია და კ. მაკაროვი.

◆ **საიათნოვა.** რედაქციას მოუვიდა ი. გრიშაშვილის წიგნი „საიათნოვა“. წიგნი შეიცავს დიდი ფორმატის 36 გვერდს. მოთავსებულია შიგ თვით მგოსნის ი. გრიშაშვილის გამოკვლევა „საიათნოვა და ძველი ტფილისი“ (6—85 გვ.) საიათნოვას მატურის სურათი, საიათნოვას ავტოგრაფი, დაუბეჭდავ ლექსების ნუსხა და თვით საიათნოვას ლექსები. ბოლოში წიგნს დართული აქვს ძველ, გაუგებარ სიტყვათა ლექსიკონი. წიგნი იშვიათ კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და სუფთად გამოცემული ღირს 15 მანეთად. წიგნი გამოცემულია ის. სტუროუას მიერ.

◆ **სიმშილით გაფიცვა მეტეხის ციხეში.** სიმშილობის მეცხრე დღე. 1) სამნი ძლიერ ცუდათ გრძნობენ თავს წვანან, ვერ დგებიან. ერთი ცუდათაა, მაგრამ ჯერ კიდევ დადის, ერთმა დღეს იგრძნო დასუსტება. ორნი, ბუდუ მდივანი და ელბაქიძე ჯერ კიდევ დგანან. 2) გუშინ, 26-ს, მოსიმშილენი ინახულა ცნობილმა ვექილმა ნ. დ. სოკოლოვმა ნ. ჟორდანას პირადი ნებართვით. როგორც გამოირკვა თურმე, ნ. ჟორდანიას ეგონა, რომ მოსიმშილენი პასუხისგებაში არიან მიცემული, როგორც დუშეთის საქმეში მონაწილენი და რომ გამოძიებას მათ შესახებ აწარმოებს გამომძიებელი კახიანი. მოსიმშილეებთან მოლაპარაკებიდან ნ. დ. სოკოლოვმა გამოარკვია, რომ მოსიმშილეთ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ დუშეთის საქმესთან, რაც დიდი ხანია გამოუცხადა მათ გამომძიებელმა კახიანმა. ნ. ჟორდანიას ეს მოტივი ჰქონდა მხოლოდ, მას აფიქრებდა, რომ მოსიმშილეთა განთავისუფლებით ისარგებლებენ დანარჩენი დუშელები, რომელთა რიცხვი აღემატება 140 კაცს, და მოითხოვენ განთავისუფლებასო.

◆ **კ. ფოცხვერაშვილის სამხედრო მუსიკის კონცერტი.** დღეს ოქტომბრის 27-ს დილის 12 საათზე სახელმწიფო თეატრში გაიმართება კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი (იხ. განცხადება პირველ გვერდზე). კონცერტის წინ ფოცხვერაშვილი გამოაქვეყნებს დავით აღმაშენებლის, თამარის და ერეკლე მეორის დროის იამბიკოსებს, მუნასიპებს და ქებადებს (ჰიმნებს).

◆ **ალ. წერეთლის ლექცია.** სამშაბათს, ოქტომბრის 29-ს, ქ ლანჩხუთში საქართველოს პარლამენტის წევრი ალ. წერეთელი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა“.

◆ **სამასწავლებლო ინსტიტუტი** ორი საფეხურისაგან შესდგება: 1) პირველი საფეხური სამწლიანია, აძლევს დასრულებულს საშუალო სწავლას და მეორე საფეხურისათვის სპეციალურ მომზადებას. მიიღებიან უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ან საშუალო სკოლის ოთხი კლასის კურს დამთავრებულნი. 2) მეორე საფეხური ორწლიანია, იძლევა სპეციალურ პედაგოგიურ განათლებას და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის წოდებას. მიიღებიან საშუალო სკოლის ან საოსტატო სემინარიის კურს დამთავრებულნი. თავისუფალია ოცი სტიპენდია. თხოვნები მიიღება: დიდი მთავრის ქუჩა 9, ინსტიტუტი.

◆ **პასუხისგებაშ** მიცემა. შრომის კომისარმა ოქტომბრის 23-ს დაათვალიერა აბრამოვიჩისა და ამხანაგობის მაკარონის ქარხანა და აღმოაჩინა მცირე წლოვანთა მუშაობის კანონის დარღვევა. კომისარმა ქარხნის პატრონს ოქმი შეუდგინა და პასუხისგებაში მისცა.

◆ **მუშებისათვის საავადმყოფო.** ოქტომბრის 24-ს შრომის კომისარმა დაათვალიერა თამბაქოს ქარხანა „კომეტა“ სადაც აღმოჩნდა, რომ მუშებისათვის არ ყოფილა საავადმყოფო და მისალები ოთახები კომისარმა წინადადება მისცა ერთი კვირის განმავლობაში მოაწყოს ქარხანამ მუშათა საავადმყოფო ოთახები.

◆ **ჯარში გაწვევის გამო.** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რათა სამხედრო უფროსებმა სასტიკი ყურადღება მიაქციონ ახლად გაწვეულთა შემოწმებას და იხელმძღვანელონ იმ დადგენილებით, რომ ჯანსაღობითა და მხედველობით სუსტი ჯარისკაცებიც გაწვეულ უნდა იქმნენ არმიაში მწყობრგარეით სამუშაოსათვის, რაც მათ ძალღონეს და უნარს შეეფერება.

◆ **ყაზარმები.** ვინაიდან ტფილისში ყველა ყაზარმა და სამხედრო ბინა უკვე სავსეა და დაკავებული ჯარებისაგან, ამიტომ სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ ჯარები შეადგინონ და მოათავსონ გუბერნიის იმ ადგილებში სადაც მათი დასაბანაკებელი პუნქტი იქნება.

◆ **ხორბალი ფოთში.** საქართველოს რკინის გზის მმართველმა წინადადება მისცა რკინის გზის ადმინისტრაციას ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს სამხედრო უწყების წარმომადგენელს, რომელიც ფოთშია გაგზავნილი 20,000 ფუთი ხორბლის ტფილისში გადმოსაგზავნად. ეს ხორბალი ცენტრალურმა სასურსათო საბჭომ მიიღო.

◆ **ლტოლვილი ასურელები.** გზათა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ ოთხი ვაგონი მისცენ ლტოლვილ ასურელებს ტფილისიდან ფოთში წასასვლელად.

◆ **რკინის გზებზე.** საქართველოს რკინის გზების სამხრეთ ნაწილებიდან იტყობინებიან, რომ სადგურებზე ნავთის უქონლობის გამო ფარნები არ ინთება რაც ძლიერ აძნელებს მატარებლების მიმოსვლის საქმეს.

◆ **ფორმა ქართველ მხედრობისათვის.** სამხედრო მინისტრმა საადმინისტრაციო განყოფილების უფროსისადმი ბრძანება გასცა, რომ ერთი კვირის განმავლობაში დამზადებულ იქმნეს ჯარისკაცებისათვის ეროვნული კაკარდები. საერთო ფორმის გამომუშავებამდე ოფიცრებმა პაგონებზე უნდა წააწერონ ლიტერი „ქ. ლ.“ ჯარისკაცებს კი აღნიშნული უნდა ჰქონდეთ თავიანთ ნაწილის ნომერი და ტრაფარეტული წარწერა—„ქართ.“

◆ **დაპატიმრება.** საგანგებო რაზმის უფროსმა დააპატიმრა სალამოს დეპეშების „ნოვოე სლოვოს“ რედაქტორი მუგდუს აკოფოვი და გამომცემელი მ. მუგდუს-აკოფოვისა დეპეშებში სისტემატიურად ყალბი ცნობების ბეჭდვისათვის.

◆ **დანიშვნანი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლად დაინიშნა ა. იოსელიანი.

◆ **დათხოვნა.** საგანგებო რაზმის თანამშრომლები ვლ. უგულავა და ს. დავიდოვი სამსახურიდან დათხოვნილ იქმნენ.

◆ **თეატრის წევრთა კრება.** კვირას, ოქტომბრის 27-ს ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია საქართველოს სახალხო თეატრის წევრთა საზოგადო არა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც უნდა მოხდეს გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები და განხილულ იქნეს მეტად საგულისხმიერო საკითხები.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, დილის 11 საათზე „სახალხო საქმის“ რედაქციაში მოხდება მთავარ კომიტეტის კრება.

სოც.-ფედ. მოწაფეთა კრება. კვირას, დილის 10 საათზე პარტიულ ბიუროს დარბაზში დანიშნულია ყველა სასწავლებლის სოციალისტ-ფედერალისტ მოწაფეთა საერთო კრება. განსახილველია მეტად სერიოზული საკითხები. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

ტფილისის კომიტეტის სხდომა. კვირას, ოქტომბრის 27-ს პარტიულ ბიუროში დილის 12 საათზედ დანიშნულია ტფილისის კომიტეტის სხდომა წევრებს უმორჩილესად ვთხოვთ დანიშნულ დროზე ბიუროში მობრძანდნენ.

ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის კრება. კვირას დილის 11 საათზე დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის კრება.

ტფილისის კომიტეტის ძველი პრეზიდიუმი სთხოვს, ახლად არჩეულ წევრებს უსათუოდ დაესწრონ ამ კრებას.

ვერა ვ. რ[illegible]შვილის ორმოცი დღის გამო

ორმოცი დღეა მას აქეთ, რაც იშვიათმა ადამიანმა ვერამ, სამუდამოდ თვალები დახუჭა. ხუთი წლის უცხოეთში გარდახვეწილმა, პირველად ჩაისუნთქე სამშობლოს მაცოცხლებელი ჰაერი.

ბედმა აღარ მაცალა უკანასკნელად მაინც დაველაპარაკებოდი მას, რომელიც სრული განხორციელება იყო ნამდვილი და-ძმური სიყვარულისა, და განა მარტო და-ძმურის?

იგი იყო განსისხლხორცებული ენერგია ძლიერი სულის და ფართო ზღვა გულისა.

ასეთი იყო ვერა ამ ხუთი წლის წინად, ასეთივე დარჩენილა იგი შემდეგშიაც და რომ ეს ასე ყოფილა ამას მოწმობდნენ ის მრავალ-რიცხოვანი ჭირისუფალნი და მეგობარ-ნათესავები რომელნიც ვერას განსვენებას დაესწრნენ. ამას მოწმობდა აგრეთვე გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, რომელიც თავის თანამშრომლის პირით ვერას ახასიათებდა, როგორც მაღალს, ფაქიზსა და საზოგადო საქმისათვის თავ-დადებულს ადამიანს, თუმცა, საყვედურსაც ეუბნებოდა: „შენ შესცდი 1908 წელს ჩვენ რომ მიგვატოვე და სოც.-ფედერალისტებს შეუერთდიო“. ამას მოწმობდა აგრეთვე ის საზოგადოება, რომელიც ვერას განსვენებას დაესწრო.

დასაფლავების დღედ 21 ენკენისთვე იყო გამოცხადებული, პირველ საათზე საზოგადოება უკვე შეკრებილი იყო.

ეზოში წესი აუგეს. აქ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა თალაკვაძემ. შემდეგ ილაპარაკა გიორგი ნუცუბიძემ, ქიათურის დრამატ. საზოგადოების სახელით, აღნიშნა ვერას ღვაწლი ქიათურის სცენასა და ხელოვნების წინაშე და უთხრა რომ „შენი სურათი დაამშვენებს ქიათურის სცენასაო“.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პოდპორ. ანტონ ტატიშვილმა რომელმაც საზოგადოება აატირა. სიტყვები უთხრეს აგრეთვე შალვა ტატიშვილმა, სოციალ-რევოლ. ილია კაკაბაძემ; ქიათ. სოც.-ფედერალ. ორგანიზაციის სახელით, შაქრო ვაშაძემ, ყველას ყურადღება მიიპყრო სოფ. ცხრუკვეთის გლეხთა წარმომადგენლებმა ახალგაზრდა ქალ-ვაჟმა, რომელთაც შემდეგი სიტყვებით დაამთავრეს: დაგვაობლე, ჩვენო მფარველო, მაგრამ გახსოვდეს, რომ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ შენ-მიერ ჩვენდამი მოცემულ დროშისათვისო. წარმომადგენელი იყო აგრეთვე ქიათურის ქალთა წრიდან, რომელმაც ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკო კუბო. ცოცხალი ყვავილები, და გვირგვინები იყო სხვა და სხვ. ჯგუფიდან და მეგობრებიდან.

მიცვალებულის კუბოს წინ მიუძღოდა მგალობელთა გუნდი სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით, რომლის ნაღვლიანი „წმინდაო ღმერთო“ გულის ძირამდის აღწევდა.

მიცვალებული შესვენებ ეკლესიაში რადგან აკლდამა ჯერ კიდევ მოუთავებელი იყო.

ვერა იყო ნამდვილი ხალხის შვილი, მისი სოფლმხედველობა არ იყო ვიწრო მარტო პარტიული რამ, იგი იყო ნამდვილი, ქართვლის ქალი, ქართველის დედა.

და სწორედ ამიტომ იყო რომ ასე დაამწუხრა ყველა, ვინც კი განსვენებულს იცნობდა.

გრ. [illegible]—ლი.

სომეხი ლტოლვილები და სასურსათო კრიზისი საქართველოს რესპუბლიკაში

„ჰორიზონის" 212 №-ში მოთავსებულია ბ. ჰ. აბელიანის წერილი ლტოლვილთა შესახებ სათაურით: „რა მოხდა?" ამ წერილის ძირითადი დებულება არის შემდეგი: ლტოლვილებმა შეამსუბუქეს საქართველოში სასურსათო კრიზისი. ამ პარადოქსალურ აზრს აი, როგორ ასაბუთებს ავტორი:

„საქართველოში ეხლა ცხოვრობს დაახლოვებით 150.000 ლტოლვილი. თუ ამ რიცხვს მიუმატებთ დახოცილებს და ჩრდილოეთ კავკასიაში გახიზნულებს, მივიღებთ დაახლოვებით 250,000 სულს რომელთაგან ნაწილი ცხოვრობს საქართველოში, ნაწილმა გაიარა ამ ქვეყანაზე როგორც ლტოლვილებმა. ამ აუარებელმა ხალხმა სამშობლოდან საქართველოში თან მოიტანა ურიცხვი ნივთი და სურსათი. ლტოლვილებმა თან წამოიღეს განსაკუთრებით საკმაო პური და წამოიყვანეს თითქმის ყველა თავისი პირუტყვი. ლტოლვილების მოტანილი ქონების სულ უმნიშვნელო ნაწილი თუ გავიდა საქართველოს გარედ, ან დარჩა თვით ლტოლვილების ხელში. ლტოლვილების ათეულ და შეიძლება ითქვას ასეულ მილიონებად ღირებული ქონების უდიდესი ნაწილი გამოვიდა ან გამოდის საქართველოს ბაზარზე. ლტოლვილობამ მისცა საქართველოს მოქალაქეებს დიდ ძალი პური და განსაკუთრებით ხორცი. დეე მკითხველმა მოიგონოს ის ფაქტი, რომ ყარსისა და ალექსანდროპოლის ალებისათანავე ტფილისის ბაზარზე გაჩნდა ამ მაზრების პური და პურის ფასი საგრძნობლად დაეცა. ესევე ითქმის განსაკუთრებით ხორცის შესახებ. როგორც ვიცით ლტოლვილთა მოძრაობის წინ საქართველოში ხორცის საშინელი კრიზისი იყო; ბაზარზე ეს საშინელი ძნელი საშოვარი იყო, ხოლო მისმა ფასმა რამდენიმეჯერ აიწია. რაღაც სასწაულით ბაზარზე ხორციც გამრავლდა და ფასმაც საგრძნობლად დაიწია. ეს სასწაული მოახდინეს ლტოლვილებმა ბაზარზე თავის პირუტყვის გამოყვანით. განსაკუთრებით ახალქალაქის აღების შემდეგ საქართველოში ხორცის კრიზისმა გაიარა. რომ ლტოლვილები არ ყოფილიყვნენ საქართველოს მოქალაქე ათეულ მილიონობით უფრო მეტს გაიღებდა მხოლოდ ხორცისათვის. ჩემის დაახლოვებითი ანგარიშით ლტოლვილობამ საქართველოს 1 მილიონ ფუთზე მეტი ხორცი მისცა. საზოგადოდ ლტოლვილობამ საქართველოს ბაზარზე გამოიტანა 200 მილიონ მანეთზე მეტად ღირებული სურსათი. იმ გარემოების წყალობით, რომ ლტოლვილები საზღვრების დაკეტვის გამო თავის საქონელს სპეკულიანტების საშუალებით ჰყიდიდნენ, მათ (ლტოლვილებმა) 200 მილიონ მანეთზე გაცილებით ნაკლები მიიღეს.

ხოლო საქართველომ ლტოლვილებს მისცა სულ დიდი 10 მილიონად ღირებული საქონელი... ლტოლვილები დღემდის უმთავრესად თან მოტანილი სურსათით ცხოვრობენ...

ყველა ამის შემდეგ ყველასათვის მზვარესავით ნათელი უნდა იყოს, რომ ლტოლვილებმა ჩვენ ვნება კი არ მოგვიტანეს არამედ დაგვეხმარენ კიდეც და გაგვანთავისუფლეს ათეული მილიონებით მეტის გადახდის აუცილებლობისაგან.

რასაკვირველია, ამისათვის ლტოლვილები ჩვენგან მადლობას ან მოითხოვენ მაგრამ მათ უფლება აქვთ ელოდნენ, რომ ჩვენ აღარ შევხედავთ მათ, როგორც პარაზიტ ელემენტებს

კარგად უნდა გვახსოვდეს, ლტოლვილების უბედურება ჭამის უფლების მქონეთათვის ბედნიერება იყო".

ამგვარად საქართველოს რესპუბლიკას ლტოლვილების ვექილმა ანგარიში წარუდგინა რომ მასზე დარჩა ლტოლვილებისა არა ნაკლებ 190 მილიონისა. საკითხი, რომელსაც ეხება ბ. აბელიანი, იმდენად რომ საყურადღებოა და საინტერესო პუბლიცისტ-ეკონომისტისათვის! მაგრამ თითქმის სრულიად ზედაპირად, სრულიად უსაბუთოდ, უსტატისტიკოდ. აბა, ვინ უნდა დაიჯეროს მან, რომ საქართველოს ლტოლვილების 190 მილიონი ვალი ედება? შეიძლება ხორცის შესახებ ნათქვამი რამდენიმედ შეიფერებოდეს სინამდვილესკი ხოლო ჩვენ ძალიან გვეეჭვება რომ „ლტოლვილების უმრავლესობა დღემდის თავის პურით იკვებებოდეს" რადგან საკუთარის თვალით გვინახავს, რომ „ათეული და ასეული" (რაც ასე უყვარს ბ. აბელიანს მილიონის მიმატებით) ლტოლვილი მოგზაურობდა ყოველ დღე ბაკურიანსა და ბორჯომ-ხაშურს შუა საგანგებო ნებართვით სანიტარული კომისიისაგან სწორედ პურის შესაძენად. ეს ხდებოდა ჯერ კიდევ თიბათვესა და მკათათვეში.

ფ.-ტ. სარაიონო წარმომადგენელთა ყრილობა

როგორც მკითხველთ მოეხსენებათ ამ დღეებში ქ. ტფილისში დაიწყო ფ.-ტ. სარაიონო მოხელეთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ოცზე მეტი წარმომადგენელი, კონფერენციის მიზანი არის გამოარკვიოს სხვა და სხვა კითხვები, მათ შორის უმთავრესი საკითხი არის მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობის საკითხი.

მეტად უნუგეშო და კატასტროფიული მდგომარეობა გადაგვიშალეს პროვინციის დელეგატებმა.

მაგალითად—ბორჯომის წარმომადგენელი გ—ძე ამბობს, რომ იქ სიმშილით მოკვდა ამხ. კ—ევი. იყო შემთხვევა, რომ პური გირვანქა 12 მ. იყიდებოდა. საჩხერის სიძვირეს აღწერს აგრეთვე გორის წარმომადგენელი ი—ძე, „მაშინ, როდესაც" ამბობს იგი—თქვენ სატახტო ქალაქის ამხანაგებს გგონიათ რომ იქ გორში—ქართლის გულში—სიაფეა— ეს ასე არ არის—იქ პირველ საჭიროების სანოვაგე მეტად ღირს, ვიდრე აქ მაგალითად - საშუალო ხარისხის პურის ფქვილი—17—18 თუმანი ფუთი; კვერცხი თითო მანეთად; ყველი—8—9 მან. გირ. კართოფილი მანეთ ნახევარი გირ. ნახშირი ტომარი 40—50 მ. ტფილისში-კი იგივე ნახშირი 15—20 მ. და სხვ.

ამას დაუმატეთ ისედაც ცოტა ჯამაგირების თავის დროზე მიუღებლობა და თქვენ წარმოგიდგებათ პირდაპირ აუტანელი მდგომარეობა. ამას წინად ქუთათური ამხანაგების მიერ იყო მოწოდება, რითაც ისინი—თუ მთ ვრობა არ დააკმაყოფილებდა—მათ თხოვნას ჯამაგირების მომატების შესახებ—ისინი გასაფიცავად გვიწვევდნენ. მაშინ ჩვენ ქართლის წარმომადგენლებმა—ეს ნაბიჯი ქუთათელებისა მივიღეთ რა კრიტიკული მდგომარეობა ჩვენი ხაზინისა— დავგმეთ და მოთმინება ვარჩიეთ—მაგრამ ყველას ჰქონია სამზღვარი. ახლა მოთმინება აღარ შეგვიძლიან—ჩვენი მთავარი გულისტკივილი კუჭის საკითხი შეიქნა და იძულებული ვართ ახლა-კი მხარი დაუჭიროთ ქუთათურ ამხანაგებს"—დაამთავრა აღელვებულმა ორატორმა...

ი—ძე.

(შემდეგი იქნება).

გამოსათხოვარი

ალიკო ვერულაშვილს.

პირდაპირ საოცარი ბედი დაგვჩემდა ამ ბოლო დროს. თითქოს არც ჩაგიკლავს მუნჯურათ გულში საოცარი წუხილი რაიმე თვალსაჩინო უბედურების შესახებ, რომ კვლავ მორიგი უბედურება გატყდება კაცს თავზე შეიძლება ცრემლთა ფრქვევა თავის და თავად ნუგეში არ იყოს, არც არის იგი ნუგეში ვისთვისმე, ის მალამოა, რომელიც დაწყლულებულ გულის კვნესის სიმს მოალბობს და მით ერთგვარ შვებას გაგრძნობინებს. აბა, მითხარით ვინმემ, ვინც კი ალიკოს იცნობდა, რა დაგვრჩენია მის ამხანაგებს იმ წრფელი ცრემლის მეტი, რომელსაც აგრე დაჟინებით მოითხოვს ახლა ჩვენი ბუნება. განა შესაძლებელია ნუგეში სცე მის ჭირისუფალს. ეს ხომ ცოდვა იქნებოდა; ეს ხომ დანაშაული იქნებოდა ძვირფასი მეგობრის ხსოვნის წინაშე. არა, ნუგეშის მიმცემს—დედის გულის გამამხნეველებელს ამ შემთხვევაში ვერ ვეტყვი მის მშობელს. ერთია მართალი —ნათქვამი გულის სიღრმიდან: იტირე დედა, იტირე მამა, იტირეთ ძმებო და ამხანაგებო, რადგან დანაკლისი თქვენთვის დიდია; მისი ანაზღაურება თქვენთვის არავის არ შეუძლია. დიახ თქვენ გაგიკვირდებათ სთქვათ—ალიკო აღარა გვყავსო—და ეს დედის გულს კი არა, მეგობრის გონებასაც ვერ წარმოუდგენია. მაგრამ ვაი სინამდვილეს: ჰო როგორ მძაგხარ მე შენ დღეს ამ სიტყვების ულმობელობისათვის!

ალიკო ვერულაშვილს ჩვენი ფერთე საზოგადოება ვერ იცნობდა. მან 1913 წელში დაასრულა ქუთ. კლასიკური გიმნაზია ვერცხლის მედლით. შემდეგ წავიდა მოსკოვს და იქ ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ამ ფაკულტეტს თავი დაანება და იურიდიულ ფაკულტეტზე გადირიცხა. შემდეგ დაუღალავი მუყაითი შრომის წყალობით ეს ფაკულტეტი სამი წლის განავლობაში დაასრულა 1917 წელს. ალიკო ნამდვილი შეგნებული ამხანაგი-სტუდენტი იყო. არ ყოფილა არც ერთი ორგანიზაცია, სადაც მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო. ჩვენ პარტიულ წრეებშიც ალიკო მუდამ ერთ-ერთ აქტიურ ამხანაგათ ითვლებოდა და კიდევაც წრის დავალებით იგი მთელი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის სათვისტომოს.

რევოლიუციის დასაწყისში იგი სავსებით ჩაება ამ რევოლიუციონურ მუშაობაში და ბოლომდის მხნეთ განაგრძობდა მუშაობას. მოსკოვშიც და ჩვენშიც მისი აზრი ჩვენ პარტიას დასტრიალებდა თავს და ალიკოც შეძლებისა და გვარად ემსახურებოდა თავის წმინდათა წმიდას. მაგრამ არ დასცალდა მას ეს შრომა. ულმობელმა სენმა სამი დღის განმავლობაში მოგვტაცა ჯანსაღი და ენერგიით სავსე ამხანაგი. დიახ მისი დაკარგვით მისმა მეგობრებმა დაუფასებელი მეგობარი დავკარგეთ და პარტიამ კი ერთი აქტიური მუშაკი.

რა გითხრა ძმაო! დაგპირდე რომ შენ იდეალებს სიკვდილამდის არ ვუღალატებთქო? არ ივარგებს; ეს შენც იცი და ამასთან ეს თვით შენთვის შაბლონი იქნება. დიახ ვერაფერს ვერ გეტყვი მხოლოდ მუდამ მუხლს მოვიდრეკ შენი წმინდა ხსოვნის წინაშე და გულდასერილი—მთელი ჩემი არსების სიღრმიდან გადმოხეთქილი ცრემლებით ვიტყვი ყველას გასაგონათ:

საუკუნოთ იყოს ხსენება იმ ადამიანისა, რომელმაც ასე უდროოდ დაგვაობლა.

ნიკ. აბესაძე

გულშემზარავი სურათი

რამდენიმე დღეა, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ყოფილ ქართული გიმნაზიის) შენობის შესავალ კარებში ყურადღებას იპყრობს მეტად დამაღონებელი სურათი: აქ, ცის ქვეშ დღე და ღამ, ქარსა, წვიმასა და სიცივეში, სხვა ლტოლვილებთან ერთად შეუფარებია თავი ერთს საცოდავ მშიერმშველს ქალს თავის ათი წლის ვაჟით რომელიც მილიციას ამ შენობიდან კარში გამოურეკია.

საწყალი ქალი ცხრა წელიწადი განჯის გუბერნიაში მასწავლებლობდა და ბოლო ხანში განჯის საგუბერნიო კომისარიატში მსახურობდა, ხოლო მაისის პირველ რიცხვებში წელს სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის დროს გამოქცევით ძლივს უშველა თავს და სრულიად უმწეო მდგომარეობაში მყოფმა თავისი ვაჟით მოაღწია ტფილისს, სადაც ადგილობრივმა თვითმართველობამ ქართულ გიმნაზიის ლტოლვილთა თავშესაფარში მოათავსა. ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. აი თითქმის ნახევარი წელია, ეს უბედური ქალი მოილალა თვითმართველობაში და სხვაგან სიარულით, მაგრამ მისმა ვედრებამ, რომ სადმე ადგილი მიეცათ, ვერ გასჭრა, თუმცა ცარიელი დაპირება კი ბევრი იყო.

ამ ჟამად ეს უბედური დედა-შვილი სიმშილ-სიტიტვლე-სიცივისაგან შეწუხებულნი, სიკვდილის პირას არიან და მშველელი კი არავინაა.

იმედია, ვისიც ჯერ არს, ამ ქალს სოფიო გერმანიშვილისას, მ სწავლებლის ადგილი, ან სხვა რაიმე საქმის აღმოჩენით საშუალებას მისცემს თავისი შრომით ცხოვრებისას.

გულშემატკივარი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთში დაიბეჭდა პატარა შენიშვნა: „გადმოვარებულები", რომელიც შემეხებოდა პირადად მე მართალია მე მივეცი თხოვნა, რომ ჩემი შვილები გადაეყვანათ პირობით შემდეგს კლასში (რუსულ განყოფილებაში) მაგრამ ამასთანავე დავსძენდი, რომ ეს დროებითია და პირობას ვიძლეოდი, რომ ერთის წლის განმავლობაში ჩემს შვილებს ქართულს შევასწავლიდი და შეძლება მიეცემოდათ ქართულად სწავლის განგრძობისა.

ა. დ—ნი.

გამომცემელი
ხამხონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი დ. ა. ხარაძიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლოს. 2105

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი ი. ი. ხერიშვილი. მიიღებს ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დიდ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 34. 301

ექიმი ბ. ზ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-ხახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და [illegible] ბით დაორსულებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა ([illegible]) სახლი № 9. [illegible] ახლოს ტელ. 9—26. 2087

ექიმი დიმიტრი იოსების ძე [illegible] დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლულობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი [illegible] ქუჩა № 6. [illegible] ტელ. 104. 2040

ექიმი ნ. ს. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქალურობით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი [illegible] ქ. № 11. 1125

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ბ. მამრაშიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-კაბინეტი. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის [illegible] ტიპისა, დიდი [illegible], განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი ნ. ქ. [illegible] შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] ავადმყოფობანი გულ[illegible], ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების [illegible], გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ქლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—8 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყირილანოვის ქ. № 6.

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მეილის საავადმყოფოს ექიმის ა. დ. [illegible] მიიღებს შინაგან დაძერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულისა კუჭისა და ჰაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფიული ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე ღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება—8 საათ., გარდ. კვირისა. ტელეფონი 1[illegible]—46. 2029

პერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. [illegible]

მომსვლელ ავადმყოფთვის. ავადმყოფებ იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—[illegible] და ნერვების ავადმყოფობანი 9—[illegible] ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 ([illegible]), 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—ბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—[illegible] ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარ ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნველისა და სხვ.).

ელექტრიზაცია, [illegible], აცრა და [illegible] გაკეთება.

სამკურნალოში ღამეც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოში ყველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნავახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებული 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლ პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ო. მაზნერი: —10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. მ. აგახაროვი 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

აგეტისიანი—კანის და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ს. გ. აგეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ს. გ. აგეტისიანი 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.

ა. ნ. იხაკიანი: —7 ½. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება [illegible] მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეობით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი.

შეჯიბრება ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს, შუადღის 12 ს. გამგეობის ბინაზე მოხდება შეჯიბრება ტფილისის მ-9 უბანში მდებარე ქალაქის სახლის იჯარის გასაცემად (რეუტოვის ქ. № 15).

პირობები და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საიჯარო და სამიწო განყოფილების კანცელარიაში მუშაობის დროს. 1383

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე"

ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახოსაქმე" ზორონის ქუჩა